საჭიროა რადიკალური ზომები!

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 27 ივლისი. მზიანი ამინდი. 35 გრადუსი. 40 000 მაყურებელი.

“დინამო” (თბილისი) - “პახტაკორი” (ტაშკენტი) 0:0.

“დინამო”: კოტრიკაძე, ჭელიძე, ხურცილავა, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, დათუნაშვილი (ხუციშვილი - 78), ბარქაია, მეტრეველი, მესხი.

“პახტაკორი”: პშენიჩნიკოვი, ზაკიროვი, შტერნი, ნაუმენკოვი, სუიუნოვი, მუხინი, აბდურაიმოვი, ტაჯიროვი, მელქუმოვი, კრასნიცკი, რახმატულაევი.

მსაჯი ვ. ხოდინი; გვერდითი მსაჯები ვ. მაცკევიჩი და ა. გრიშინი (ყველა მინსკი).

დუბლიორები – 1:0 “დინამოს” სასარგებლოდ. გოლი გაიტანა ასათიანმა.

ვისთან უნდა აიღოს თბილისის “დინამომ” ქულები საკუთარ მინდორზე, თუ არა “პახტაკორთან”? მით უმეტეს იმ სატურნირო მდგომარეობაში, რომელშიც იგი ახლა იმყოფება.

მაგრამ უკვე ის ფაქტი, რომ თბილისის “დინამო” შინ ვერ ამარცხებს “პახტაკორს”, ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ გუნდი მძიმე კრიზისის პროცესშია.

ნუ ვილაპარაკებთ გუშინდელი მატჩის დეტალებსა და წვრილმანებზე. ეს საჭირო არაა იმიტომ, რომ წვრილმანებამდე საქმე არც მიდის. ჩვენი გუნდის თამაში საერთოდ, მთლიანად ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა დგას. 90 წუთის განმავლობაში არ გათამაშებულა არც ერთი ხეირიანი კომბინაცია, კარში არ დარტყმულა თუნდაც ერთი სახიფათო ბურთი. თავდასხმის წამყვანი მოთამაშეები, რომლებმაც ტონი უნდა მისცენ თამაშს, უკიდურესად სუსტად გამოიყურებიან, ურთიერთმოქმედება მათს შორის სრულიად მოშლილია. მეტრეველსა და ბარქაიას პირდაპირ ვერ იცნობთ. დაცვაში კი საქმე იქამდე მივიდა, რომ მოთამაშეები მაღლა, ზეცაში ურტყამენ ბურთს, როგორც ეს 30-იანი წლების ფეხბურთში ხდებოდა.

რაც შეეხება ნახევარდაცვას, იგი თავისებურ “ავტონომიურ” ერთეულს წარმოადგენს გუნდში, არავითარ ანგარიშს არ უწევს საერთო გეგმას და თამაშობს ყოვლად გაუმართლებელი, გაუგებარი სისტემით. ტყუილად ელიან ფორვარდები მათგან გადაცემას: იამანიძეც და გ. სიჭინავაც გართული არიან ბურთის უსასრულო ღეჭვით და თუ რომელიმე მათგანმა მოისურვა გადაწოდება, დარწმუნებული იყავით - ბურთს მოწინააღმდეგე მიიღებს.

ერთი სიტყვით, საქმე ძალიან ცუდადაა. ეტყობა, თბილისის “დინამოში” დადგა რადიკალური ზომების მიღების დრო.

რ. ქორიძე.

“ლელო”, 28 ივლისი, 1965 წ.

დამატებითი მონაცემები “სოვეტსკი სპორტიდან” 28.07.65